ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

(2018 წლის სამეცნიერო და სხვა საქმიანობის ანგარიში)

2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობდა მუშაობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე: 1. **ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის)** (ხელმძღვანელი ლევან გორდეზიანი, შემსრულებელი ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება); 2. **ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისი და განვითარების ეტაპები დიაქრონიულ ჭრილში (წინაქრისტიანული ხანიდან თანამედროვეობამდე)** (ხელმძღვანელი ვაჟა კიკნაძე, შემსრულებლები: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება); 3. **მულტიკულტურული საქართველო და კავკასია: ეთნოკულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესების ანალიზი** (ხელმძღვანელი ნინო მინდაძე, შემსრულებლები: საქართველოს ეთნოლოგიისა და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებები, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია); 4. **ქართული ისტორიული აზრის ისტორია: ადამიანები, ტექსტები, იდეები (გვიანი ანტიკურობა - მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედი)** (ხელმძღვანელი მარიამ ჩხარტიშვილი, შემსრულებელი: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება), რომელებიც დაფინანსდა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში.

2018 წელს ინსტიტუტის ბაზაზე შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: 1) **სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა** (FR-17_144, 2017-2020 წწ., ხელმძღვანელი დავით ჭითანავა); 2) **შეუსწავლელი საარქივო მასალები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა (ეთნოლოგიური ძიებანი)** (FR /137/2 – 153/14, 2015-2018 წწ., ხელმძღვანელი ნინო ღამბაშიძე).

ინსტიტუტის 13 მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რომლებიც ფინანსდებოდა სხვადასხვა ფონდის (რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; „World vision“; „რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასია“ (REC Caucasus); „აღმოსავლეთ ევროპისა და საერთასორისო კვლევების ცენტრი“ (ZOIS - გერმანია); „განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრი“ (NorGePart: Norwegian-Georgian Partnership Program for Research-Based Educational Collaboration in Anthropology - ნორვეგია); ფოლკსვაგენის ფონდი (გერმანია); გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) (გერმანია) მიერ სხვა ორგანიზაციების (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; კავკასიის ხალთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) ბაზაზე.

2018 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემა: **„ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები“** XIV-XV; ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, კონფერენციის მასალათა კრებული **„გამოჩენილი მეცნიერი და მასწავლებელი მიხეილ გეგეშიძე - 100**“ (რედაქტორი რ. თოფჩიშვილი)

თანამშრომელთა ავტორობითა და თანაავტორობით საქართველოში გამოიცა 12 მონოგრაფიული ნაშრომი; 2 სახელმძღვანელო; სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და კონფერენციების მასალათა კრებულებში საქართველოში დაიბეჭდა 67 სტატია, ხოლო საზღვარგარეთ - 17 სტატია.

2018 წელს ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები:

<u>12 ივლისი</u> - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, ცნობილი ქართველი ეთნოლოგის, მიხეილ გეგეშიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: **„გამოჩენილი მეცნიერი და მასწავლებელი მიხეილ გეგეშიძე - 100.“**

<u>21 დეკემბერი</u> - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-სა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად, ჩატარდა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია.

2018 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა, როგორც მომხსენებლებმა და თანამომხსენებლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში (საქართველოში - 64, საზღვარგარეთ - 17). მოხსენებათა ნაწილი გამოქვეყნებულია.

2018 წლის 24 და 27 სექტემბერს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში ინსტიტუტში გაიმართა 2 ღონისძიება:

1. <u>24 სექტემბერი</u> - ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის პრაქტიკული სემინარი: „**ფიზიკური ანთროპოლოგიისა და მომიჯნავე დარგების კომპლექსური კვლევების შედეგები**“ (სამიზნე ჯგუფი: მოსწავლეები, სტუდენტები, სამეცნიერო და აკადემიური წრეები). წაკითხული იქნა მოხსენებები; ნაჩვენები იქნა: ლაბორატორიაში დაცული მდიდარი ანთროპოლოგიური მასალა და მუშაობის პროცესი 3 D სკანერით (თავისქალების ციფრულ ფორმატში გადაყვანა).
2. <u>27 სექტემბერი</u> - **ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის მოზარდთა კონფერენცია კულტურული მემკვიდრეობის თემაზე** (სამიზნე ჯგუფი: მოსწავლეები, სტუდენტები, სამეცნიერო და აკადემიური წრეები). მომზადდა მოხსენებები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლის, დაცვის, მოვლის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების სამეცნიერო პროცესებში ჩართულობის გამო.

2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა შემდეგი ტიპის სამუშაოები:

ახალი ერთეულების მიღება: 2018 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა 700-ზე მეტი ახალი ერთეული, რომლებიც განაწილდა შემდეგ ფონდებში:

- ქართულენოვანი წიგნები
- რუსულენოვანი წიგნები
- კერძო კოლექცია
- ენციკლოპედიები და ლექსიკონები
- მცირეფორმატიანი წიგნები
- ევროპულ ენებზე წიგნები
- ქართულენოვანი პერიოდული გამოცემები.

ფონდების შექმნა: 2018 წელს ბიბლიოთეკას შეემატა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის - ვაჟა კიკნაძის კუთვნილი წიგნადი ფონდი (581 ერთეული).

კატალოგიზაცია: აღიწერა ვ. კიკნაძის და ი. კაცნელსონის სახელობითი წიგნადი ფონდები და შეიქმნა მათი საინვენტარო კატალოგები (მატერიალური სახით). ქართიულენოვანი, რუსულენოვანი და მცირეფორმატიანი წიგნების ფონდებში 2018 წელს შემოსული ყველა ერთეული კატალოგიზირებულია ელექტრონულ ფორმატში (Access-ის მონაცემთა ბაზა-კატალოგი).

მკითხველთა მომსახურეობა: 2018 წელს ბიბლიოთეკიდან მკითხველებზე გაიცა 82 ერთეული; ბიბლიოთეკაში დაბრუნდა 85 ერთეული.



2018 წელს ინსტიტუტის საარქივო ფონდში სამუშაოები მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით:

1) ფონდებისა და კოლექციების კლასიფიკაცია, კლასიფიცირებული მასალის დალაგება საფონდო საქმისწარმოების პრინციპით, საფონდო ერთეულების ტექნიკური დამუშავება.

ამ პრინციპების გათვალისწინებით შეიქმნა გ. ჯავახიშვილისა და მადონა ხაზარაძის, მედეა ქანთარიასა და რევაზ თოდუას პირადი საარქივო ფონდები.

გრძელდება თარგმანების, ხელშეკრულებით შესრულებული ნაშრომების, საგრანტო ნაშრომების, სხვადასხვა მასალების ფონდების შევსება საარქივო მასალებით.

2) მასალის აღწერა (რაობის – ძირითადი შინაარსის, რაოდენობის და სხვა პარამეტრების მიხედვით) – მიმდინარეობს წლიური ნაშრომების ფონდის ფორმირება, აღწერა, ელექტრონული ვერსიის შექმნა. საანგარიშო პერიოდისათვის დამუშავებულია 1231 საქაღალდე.

3) მიმდინარე წელს დასრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად 2014 წ. დაფინანსებული პროექტი: „შეუსწავლელი საარქივო მასალები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა (ეთნოლოგიური ძიებანი)“. ამ პროექტში მონაწილეობდა ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდი. პროექტის ფარგლებში მოხდა 275 ერთეული გრაფიკული ანაზომის აღწერილობა წინასწარ შედგენილი პარამეტრების მიხედვით, ციფრულ მატარებლებზე გადატანა და შეიქმნა მონაცემთა ელექტრონული ბაზა. ამასთანავე, ამავე პროექტის ფარგლებში საარქივო მასალებზე დაყრდნობითა და სამეცნიერო კვლევების შედეგად, შეიქმნა მონოგრაფია.

4) გრძელდებოდა საარქივო მასალის გაცემა მომხმარებლებისათვის როგორც ინსტიტუტის თანამშრომლებზე, ასევე სხვა დაინტერესებულ მეცნიერებზე და სტუდენტებზე.

2018 წელს ინსტიტუტი მონაწილეობდა სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში. რეგისტრაცია გაიარა 5 სტუდენტმა, რომელთაგან 3 სტაჟირებას გაივლის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებაში და ასევე, ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივში, ხოლო 2 - საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებაში.

ფუნქციონირებს ინსტიტუტის ვებ-გვერდი: **www.institutehist.ucoz.net**, რომელიც მუდმივად ახლდება ინფორმაციით.